

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №17

ქ. მარტვილი

18 აგვისტო 2022 წელი

სხდომა დაიწყო 13:00 სთ-ზე დამთავრდა 14:00 სთ-ზე

**სხდომას ესწრებოდნენ:** ლევან სურმავა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ზახია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკია, გიორგი ჯიჯელავა, ბექარ კუკანია, პაატა პირტახია, შალვა თაფლაძე, ზაზა რუხაია, მათა გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, ელენე კოკია, ვახტანგ კეკელია, ნათია ქაჯაია, მამუკა დანელია, კობა ასაბაშვილი, აკაკი ხუნწელია, მაგდა შირავა.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: ბონდო თოფურია–მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი დარეჯან ხუნწელია, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა.

**მოისმინეს 1:** საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ .

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე,

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 28, წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 18 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აგვისტოს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აგვისტოს განკარგულება №56 სხდომის ოქმს თან ერთვის/.

**დღის წესრიგი:**

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აგვისტოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;  
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე;  
/მომხსენებელი-ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/
3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი - დარეჯან ხუნწელია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი/

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21 -მა წევრმა.

**მოისმინეს 2.** მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ-ის ბონდო თოფურას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლი ნაზრდი ჯამით, მან აღნიშნა, რომ 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 11257.3 ათ ლარის ოდენობით, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობები 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 16215.0 ათ ლარს, მარტვილის მუნიციპალიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტით 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით ადგილობრივი შემოსავლების გეგმა შესრულებულია 89 პროცენტით, გადასახადები 92,7 პროცენტით, ქონების გადასახადი 120 პროცენტით, სხვა შემოსავლები გეგმით უნდა შემოსულიყო 192.4 ათ ლარი, ფაქტიურად შემოსულია 366.2 ათ ლარი, გრანტებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 73.5 პროცენტით.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვას:** მამუკა დანელიამ დასვა კითხვა, თუ რამ გამოიწვია ბიუჯეტით გათვალისწინებულ გარკვეულ მუხლებში გეგმის შეუსრულებლობა, რაზეც ბონდო თოფურამ უპასუხა, რომ როგორც ტენდერის გამოცხადება, ასევე მისი საბოლოო სახემდე მიყვანა მოიცავს როგორც გაუთვალისწინებელ დროს, ასევე გარკვეულ რისკ ფაქტორებს, ასევე დასძინა, რომ გარკვეულ მუხლებში პირიქითაა 120 და მეტი პროცენტითაა შესრულებული და სხვა ნაწილშიც წლის ბოლომდე მოხდება დაბალანსება.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 21, წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის მოსმენისა და შეფასების თაობაზე საკითხი შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების მეორე კვარტლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აგვისტოს განკარგულება №57 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მე-3 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24 -მა წევრმა.

**მოისმინეს 3.** მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის დარეჯან ხუნწელიას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დადგენის შესახებ“.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხზე აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 24 , წინააღმდეგი 0.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით. /„მარტვილის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დადგენის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აგვისტოს დადგენილება №21 სხდომის ოქმს თან ერთვის.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ლევან სურმავა